დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა
საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 25. 10.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 13.12.2022

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 6

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 12

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 12

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 27

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 41

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 44

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 55

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა დიაკონიძე, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ კილანავა, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ მაჭავარიანი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 ენის დაუფლება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული [გადაწყვეტილება N42, 12 ივლისი, 2016 წ.]
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2016 წლიდან. წარმოდგენილი პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამა უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს შეესაბამება. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. აღნიშნული კრედიტები გადანაწილებულია შემდეგნაირად: 174 ECTS - პროგრამის ძირითადი საგნები; 12 ECTS - პროგრამის სავალდებულო ასარჩევი საგნები (სავალდებულო ასარჩევი საგანი ან საბაკალავრო ნაშრომი); 24 ECTS - პროგრამის სავალდებულო ასარჩევი საგანი (მეორე ევროპული ენა); 18 ECTS - პროგრამის ასარჩევი საგნები; 12 ECTS - თავისუფალი კრედიტები. მოცემული გადანაწილება თითოეულ საგანთა კატეგორიის (ძირითადი, არჩევითი, სავალდებულო არჩევითი, არჩევითი) ფარგლებში ვარირებს 3 დან 9 კრედიტამდე (6 საგანი 9 კრედიტით, 5 საგანი 3 კრედიტით, დანარჩენი კი 6 კრედიტით), საბაკალავრო ნაშრომს ეთმობა 12 ECTS კრედიტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 4 აფილირებული პროფესორი, 12 მოწვეული სპეციალისტი, 9 ასოცირებული აფილირებული პროფესორი და 1 ასისტენტი.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2022 წლის 25 ოქტომბერს შედგა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს უნივერსიტეტში.

წინასწარ დაგეგმილი და პროგრამის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექპერტებმა ჩაატარეს ინტერვიუები პროგრამაში ჩართულ პირებთან და განახორციელეს პროგრამისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა, კეთილგანწყობილ, მშვიდ, კოლეგიალურ და სამუშაო გარემოში შეხვედროდნენ ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს, დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს. ექპერტებმა პროგრამის ჯგუფისგან გამოითხოვეს კონკრეტული დამატებითი დოკუმენტაცია და

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ვიზიტის ბოლოს შეაჯერეს ინტერვიუს შედეგები. დასასრულს, პროგრამის განმახორციელებლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია შრომითი ბაზრის კვლევის შედეგებისა და განმახორციელებლების მრავალწლლიანი გამოცდილების გათვალისწინებით.

პროგრამას აქვს საიტერესო კონცეფცია, რომელიც ხასიათდება ,,ენის, კულტურის და ლიტერატურის სააზროვნო სივრცეთა სინთეზით''(გვ 6, თვითშეფასების ანგარიში).

პროგრამის მიზნები, სტრუქტურა და შედეგები უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური პროფესიონალის ჩამოყალიბებას. პროგრამა შემუშავებულია და ხორციელდება კვალიფიციური აკადემიური და ადმინიტრაციული პერსონალის მიერ, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობით.

პროგრამის მიზნები და შედეგები აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სწავლის პროცესი მიმდინარეობს ეფექტურად, რასაც უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, თანამედროვე ელექტრონული და მატერიალური რესურსები, კარგად ორგანიზებული ბიბლიოთეკა, რომელიც შეუფერხებლად მუშაობს სტუდენტებისთვის.

პროგრამა მოიცავს პედაგოგიურ პრაქტიკას და კვლევით კომპონენტს, რაც ლოგიკურ კავშირშია სწავლის შედეგებთან. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის მიზნით, საჭიროა, პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის მეტი მუშაობა, კურსდამთავრებულებისათვის არაპედაგოგიური პრაქტიკის შესაძლებლობის მიცემა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასა და შედეგებთან უკეთ სინქრონიზაცია, ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლება-შეფასების მეთოდების და ძირითად ლიტერატურის მოდიფიკაცია-განახლება, რისთვისაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მჭიდრო კოორდინაცია შესაბამის სტრუქტრულ ერთეულებთან პროგრამის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

I. განხორციელდეს ეფექტური ქმედებები ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

II. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები პროგრამის თოთოეული შედეგისთვის და პროგრამის შედეგების რუკაში აისახოს მიმართება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის.

III. განახლდეს სასწავლო კურსის ,,განათლების ისტორია და ფილოსოფია'' ძირითადი სასწავლო ლიტერატურა.

IV. პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის და პროგრამაზე დაშვების სამართლიანობის უზრუნველაყოფად, რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასა და შედეგებთან სინქრონიზაცია, ასევე, პროგრამის წინაპირობებში ზუსტად განისაზღვროს B2 დონის ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი TOEFL და IELTS გამოცდების ქულების ურთიერთშეფარდება.

V. რეკომენდებულია, პროგრამა ითვალისწინებდეს პედაგოგიურ პრაქტიკასთან ერთად არაპედაგოგიური, ,,პროფესიონალი კომუნიკატორის'' პრაქტიკის შესაძლებლობასაც, თუნდაც კურსში ჩაშენებული პრაქტიკის სახით და შესაბამისი კურსის სილაბუსში მემორანდუმებსა და დანართებში განისაზღვროს აღნიშნული პრაქტიკის მიზანი, შედეგები ხანგრძლივობა და პრაქტიკანტი სტუდენტების რაოდენობა.

VI. რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს დაზუსტებულ ინფორმაციას პედაგოგიური პრაქტიკის კურსის ხელმძღვანელზე/ხელმძღვანელებზე.

VII. განხორციელდეს სასწავლო კურსების _ ,, პროფესიული კომუნიკაცია'' და ,,პედაგოგიური პრაქტიკა'' სილაბუსების შეფასების მეთოდების კურსის შინაარსსა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.

VIII. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების ქმედითუნარიანობა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის, ხარისხის სამსახურთან და პროგრამის განვითარების ჯგუფთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და კოორდინირებულ საქმიანობას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

I. სასურველია, კურსების შედეგებში მოცემული ის კომპონენტები, რომლებიც პასუხობენ პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ნაწილს იყოს გამიჯნული უნარების კომპონენტიდან.

II. სასურველია, კვლევითი უნარების განვითარების არსებული შესაძლებლობის მეტად გამოკვეთა;

III. სასურველია, მოხდეს სხვადასხვა სასწავლო კურსისთვის სწავლის შედეგების შეფასების ფორმების მეტი დივერსიფიკაცია.

IV. სასურველია, პროგრამის სტუდენტთა კოტინგენტის ზრდასთან შესაბამისად, გაიზარდოს პედაგოგიური პრაქტიკის ობიექტების რაოდენობაც.

V. მოხდეს სტუდენტის ინფორმირება თითოეული კურსისთვის განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესახებ.

VI. სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეების ტექნიკური მხარის მოწესრიგება საერთო სტანდარტული ფორმატით

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო საქართველოს უნივერსიტეტის პოზიციას „ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

პროექტში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით. აღნიშნულ დასკვნაში გაცემულია 8 რეკომენდაცია და 6 რჩევა. უნივერსიტეტი სრულად იზიარებს 6 რჩევას და 7 რეკომენდაციას. მისასალმებელია, რომ იგი უკვე შეუდგა მათ შესრულებას, რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, უნივერსიტეტმა მოგვაწოდა დოკუმენტაციის კორექტირებული ვერსიები, თუმცა, სამწუხაროდ, დასკვნაში მათი გათვალისწინება ვერ მოხდება.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირევით, რომელიც პროგრამაში არაპედაგოგიური პრაქტიკის ინტეგრაციას ეხება, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის საფუძველზე იკვეთება, რომ დაწესებულების ვარაუდით, აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა განაპირობა პროგრამის აღწერაში ტერმინის _ ,,პროფესიული კომუნიკატორი''_ გამოყენებამ და გვთავაზობს ამ ტერმინის ჩანაცვლებას ,,ინგლისურენოვანი კომუნიკატორით'', რაც, მოიაზრება იმ გაუგებრობის აღმოფხვრის საშუალებად, რასაც ტერმინი ,,პროფესიული კომუნიკატორი'' შეიძლება იწვევდეს. ექსპერტთა ჯგუფი, ვერ იზიარებს ამ პოზიციას, რადგან მეხუთე რეკომენდაციის საფუძველს წარმოადგენს არა აღნიშნული ტერმინის სხვაგვარი აღქმა (,,კონკრეტული პროფესიულ-დარგობრივი კომპეტენციის მქონე კომუნიკატორი''(იხ. *გვ.3 ,,პასუხი ინგლისური ფილოლოგიის დასკვნის პროექტზე'')*, არამედ ის ფაქტი, რომ პროგრამა მოიცავს მხოლოდ პედაგოგიური პრაქტიკის შესაძლებლობას, რაც ინგლისური ფილოლოგიის წარმოდგენილი პროგრამის მხოლოდ ერთ-ერთი შედეგის შესაბამისი პრაქტიკით უზრუნველყოფას განაპირობებს. პროგრამის აღწერის, ბაზრის კვლევის და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ისევე როგორც ენის დაუფლების დარგობრივი მახასითებლების გათვალისწიებით, ინგლისური ფილოლოგიის კურსდამთავრებულის მომავალი საქმიანობის სფერო შეიძლება მოიცავდეს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, გამომცემლობებსა და საელჩოებს. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რეკომენდებულია, პროგრამა ითვალისწინებდეს არაპედაგოგიური პრაქტიკის შესაძლებლობას. შესაბამისად, საჭიროა, კურსის სილაბუსით, მემორანდუმებითა და დანართებით განისაზღვროს აღნიშნული პრაქტიკის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2016 წლიდან აკრედიტებულ რეჟიმში 2016 წლის 12 ივლისის N42 გადაწყვეტილების საფუძველზე, რის შედეგად პროგრამამ განიცადა პროგრესი და მნიშვნელოვანი ცვლილებები:

მოდიფიცირდა პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსები, გაძლიერდა ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებაზე ორიენტირებული პრაქტიკული კომპონენტი - საველე კვლევისათვის რელევანტური უნარ-ჩვევების ფორმირება, აქცენტირდა სასწავლო კურსის ფარგლებში ფორმირებული კომპეტენციისათვის უმნიშვნელოვანესი თემატიკა. პროგრამა გაძლიერდა ინტერდისციპლინალურობის თვალსაზრისით. გაიზარდა სტუდენტების ენობრივი კომპეტეციის სრულყოფის შესაძლებლობა. პროგრამის სასწავლო კურსებში მოხდა საერთაშორსო საგამოცდო მასალის ინტეგრირება.

არჩევითი საგნების ბლოკში გაიზარდა პროფესიულ კომპეტენციაზე ორიენტირებული საგნების არჩევის შესაძლებლობა, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირისა და შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე, მოხდა პროგრამაში პედაგოგიური პრაქტიკის ინტეგრირება.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის მიერ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათელი, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამა ორიენტირებულია ინტერდისციპლინარიზმზე და მიზნად ისახავს ფილოლოგიის სააზროვნო სივრცისათვის აუცილებელი პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციის ფორმირებას; პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს და სწავლების საფეხურის მახასიათებლებს.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ინგლისური ენის სტრუქტურისა და კომპოზიციის, ინგლისური ლიტერატურისა და კულტურის თავისებურებათა ცოდნით აღჭურვილი, ინგლისურენოვანი ეფექტური კომუნიკაციისათვის, სწავლებისა და შეფასების სტარტეგიების გამოყენებისათვის აუცილებელი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ჩამოყალიბება (გვ 7. თვითშეფასების ანგარიში). წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომლის თანახმადაც „*საქართველოს უნივერსიტეტი ეწევა ცოდნის წარმოებას და პიროვნების განათლებას, რაშიც ვგულისხმობთ ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივებას და მის აღჭურვას პატიოსანი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით და ამით ხელს ვუწყობთ საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას, ქართველი ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ*“ (გვ. 7 თვითშეფასების ანგარიში, უნივერსიტეტის ვებ-გვერდი).

პროგრამა ითვალისიწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნის კვლევის შედეგებითა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული კვლევების მონაცემთა გაანალიზებით. განხორციელებული კვლევის გათვალისწინებით, ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის პოტენციურ დამსაქმებლად მოიაზრება გამომცემლობები, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა სისტემები და ის კომპანიები, სადაც არსებობს მოთხოვნა ინგლისურენოვან პროფესიონალ კომუნიკატორზე. შრომის ბაზრის კვლევაში იკვეთება დამსაქმებელთა მაღალი მოთხოვნა ისეთ კადრებზე, რომლებიც ფლობენ ენის პრაქტიკული კურსების წარმართვისთვის რელევანტური სწავლება-შეფასების თანამედროვე სტრატეგიების გამოყენების უნარს, ასევე, კვლევითი და საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში, მონაცემთა მოპოვებისა და ინტერპრეტაციისათვის საჭირო ცოდნას (გვ. 22,23 შრომითი ბაზრის კვლევა). აღნიშნულის შესაბამისად, პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს ჩამოუყალიბოს შესაბამისი კომპეტენციები და მისცეს დასაქმების შესაძლებლობა სასურველი მიმართულებით. პროგრამაში გათვალისწინებულია დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნები და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გამოსაკვეთად პროგრამა ორიენტირებულია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევათა ფორმირებაზე და ენის, კულტურისა და ლიტერატურის სააზროვნო სივრცეთა სინთეზზე; წარმოჩენილია თანაფარდობა ფილოლოგიის საზროვნო სივრცის შინაგან დიფერენციაციასა და სხვა სააზროვნო სივრცეებთან ინტეგრაციას შორის (გვ. 11 თვითშეფასების დოკუმენტი). აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან კურსებს (ლექსიკოლოგია, საგაზეთო სტატიების ანალიზი, სწავლების მეთოდიკა, განათლების ისტორია და ფილოსოფია, სტილისტიკა, ზეპირმეტყველება, სოციალური ფსიქოლოგია, პროფესიული კომუნიკაცია, ინტერკულტურული ბიზნესკომუნიკაცია და სხვ.), რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტის პოტენციალის სხვადასხვა კუთხით განვითარებაზე რაც, თავის მხრივ, გამოკვეთს დარგის განვითარების პერსპექტივასაც.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა არის ინგლისურენოვანი და არ არის მხოლოდ ადგილობრივ სტუდენტებზე ორიენტირებული, მისი შემუშავებისას მოხდა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ გამოცდილებასთან დადარებაც, რაც, თავის მხრივ, უცხოელ სტუდენტთა ინტერესებსაც ეხმიანება. პროგრამის თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, განხორციელდა საქართველოსა და ევროპაში არსებული ინგლისურენოვანი პროგრამების (ლიტვა, ლატვია, საბერძნეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა) (გვ 8. თვითშეფასების დოკუმენტი) შედარება და ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა.

ინტერნაციონალიზაცია, პროგრამის ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია. ამიტომაც პროგრამა, უნივერსიტეტის მხარდაჭერით მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა

ქვეყნის (ირანი, ნიგერია, თურქეთი და სხვ.). სააგენტოებთან საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის მიზნით. პროგრამის ორი განმახორციელებელი პერსონალი არის უცხოელი (კურსი - ზეპირმეტყველება, იტალიური ენა). ინტერნაციონალიზაციის ასპექტები იკვეთება პროგრამაში ჩართული პერსონალის სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობით და გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითაც, რაც მათთან ინტერვიურებისას და მოწოდებული დოკუმენტებითაც (ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი) დადასტურდა.

ექსპერტთათვის მოწოდებული დოკუმენტაციის (გაცვლითი პროგრამის სტუდენტთა მონაცემები) გათვალისწინებით იკვეთება, რომ ინგლისურენოვანი ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს არ მიუღიათ მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში. თუმცა, მოწოდებული მონაცემებით ასევე დასტურდება, რომ პროგრამაზე განხორციელდა ავსტრიის, ლიეტუვისა და თურქეთის ხუთი სტუდენტის მიღება გაცვლითი პროგრამების ფარგლებში. პროგრამის აქტიურ სტუდენტებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტები არ გამოხატავენ საერთაშორისო მობილობის ფარგლებში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების სურვილს შემდეგი მიზეზების გამო: მაგალითად, უცხოელ სტუდენტთა ინტერესს ნაკლებად წარმოადგენს სხვა ქვეყანაში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება, რადგან ისინი უკვე იმყოფებიან თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ; პროგრამის ერთ-ერთ მოქმედ სტუდენთან ინტერვიუს დროს კი გამოიხატა მისი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ. მან აღნიშნა, რომ ის გეგმავს მაგისტრატურის საზღვარგარეთ გავლას, შესაბამისად, არ მიიჩნევს საჭიროდ ბაკალავრიატის ფარგლებში საზღვარგარეთ გამგზავრებას. აღნიშნული საკითხი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ გაცვლითი პროგრამების უპირატესობები არ არის შესაბამისად წარმოდგენილი, გაცნობილი და შეთავაზებული სტუდენტებისთვის, რაც საბოლოო ჯამში, პროგრამას საფრთხეს უქმნის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდებულია, განხორციელდეს ეფექტური ქმედებები ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. რაც ამავე დროს, იქნება უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების გათვალისწინება, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ „სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაა; ისევე როგორც საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაცია და გაცვლითი პროგრამების წახალისება“ (ug.edu.ge). პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია ინგლისურ და ქართულ ენებზე უნივერსიტეტის ვებგვერდზე - ug.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა;
- ინგლისური პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი - ug.edu.ge;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- გაცვლითი პროგრამის სტუდენტთა მონაცემები;
- პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმე;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- განხორციელდეს ეფექტური ქმედებები ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	x	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა შესაბამისია. სწავლის შედეგებში გამოყოფილია ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორიები. პროგრამის შედეგები თანმიმდევრული და პროგრამის ფარგლებში დეკლარირებულ მიზნებთან შესაბამისია, რაც ასევე ითვალისწინებს დარგისთვის მნიშვნელოვანი ცოდნისა და უნარების განვითარებას სტუდენტთა შორის.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის საბაკალავრო დონეს და ფარავს პროგრამაში დეკლარირებულ მიზნების შესაბამის კომპონენტებს. პროგრამა ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებლებს, რაც პროგრამის საგანთა თემატური ვარიაციულობითაც დასტურდება.

პროგრამის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სამიზნე ნიშნულები თითოეული სასწავლო კურსისთვის, მაგრამ არა პროგრამის თითოეული შედეგისთვის. ექსპერტთა ჯგუფს გარკვეული კითხვები გაუჩნდა პროგრამის შედეგების გაზომვადობის მიმართ, რაც გაჟღერდა ინტერვიუზე, მოხდა შესაბამისი დოკუმენტაციის დამატებით გამოთხოვა. მოწოდებული დოკუმენტი ჩამონათვალის სახით წარმოაჩენს მხოლოდ საგნების ჩამონათვალსა და მათ შედეგებს. იგი არ მოიცავს ინფორმაციას პროგრამის თოთოეული შედეგის სამიზნე ნიშნულის, ასევე პროგრამის შედეგების მიზნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, მოხდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა პროგრამის თითოეული მიზნისთვის და პროგრამის შედეგების რუკაში აისახოს მიმართება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში დეტალურად და ვრცლად არის აღწერილი პროგრამის მოდიფიცირების პროცესი და საგანთა დაჯგუფების განმაპირობებელი მიზეზები, რომლის მიხედვითაც საგანთაშორისი კავშირების გამოყენება, პედაგოგიური მიზნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს: ცოდნის ინტეგრაციას, ახალი ცოდნის შეძენას, სასწავლო ინფორმაციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მხარეების სინთეზს (გვ. 17-27. პროგრამის თვითშეფასება).

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები, პროგრამაში შემავალი კურსები ხასიათდება პედაგოგიური და კვლევითი ხასიათის აქცენტებით, რაც იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამის საგანთა 1/7 ნაწილში სწავლის შედეგთა შეფასება მცირე კვლევითი პროექტებით ხორციელდება (ენა და

საზოგადოება, მხატვრული ტექსტის ანალიზი). წილობრივი თანაფარდობის გათვალისწინებით, პროგრამის შედეგთა ფორმირებაში, სასურველია, კვლევითი უნარების განვითარების პროგრამაში არსებული შესაძლებლობის მეტად გამოკვეთა, რაც პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროსაც გაჟღერდა ექპერტთა მხრიდან.

პროგრამის შედეგების რუკის გათვალისწინებით მოცემული 28 საგნიდან 28 გადის ცოდნა/გაცნობიერების შედეგზე; 27 - უნარებსა (გარდა საგნისა - შესავალის მსოფლიო ლიტერატურაში) და 26 (გარდა საგნებისა ინგლისური ენა I, და ინგლისური ენა II) პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის შედეგზე. მოცემული რაოდენობრივი მონაცემების გათვალისწინებით, პროგრამის დიდი ნაწილი სრულად ფარავს შედეგების სამივე კომპონენტს.

განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის გათვალისწინებით, შესაძლებელია პროგრამის შედეგების ჩამოყალიბება დაყოფის გარეშე (გვ. 5. ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი), თუმცა, მოცემულ პროგრამაში ის ცალკე კომპონენტებად არის წარმოდეგნილი. პროგრამაში შემავალი საგნების შედეგები კი ხშირ შემთხვევაში არ გამოყოფს ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კომპონენტს და წარმოდგენილია უნართა კატეგორიაში (აკადემიური წერა ფილოლოგებისთვის I, ხარისხის მართვა სკოლაში), რაც ზოგ შემთხვევაში, ბუნდოვანს ხდის კონკრეტული შედეგის კატეგორიზაციას. პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორია კი ღირებულებითი ასპექტების მატარებელია, პროგრამა კი სწორედ ღირებულებით ნაწილში ეხმიანება უნივერსიტეტის მისიას. კითხვა შედეგების კატეგორიზაციის შესახებ ექპერტთა მხრიდან გაჟღერდა პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუირებისას, რაზეც მათ აღნიშნეს, რომ არ თვლიან აუცილებელ პირობად შედეგების გამოცალკევებას კურსების დონეზე, რადგან უმეტესწილად, ისინი უნარების კომპონენტში ინტეგრირდა.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის შემუშავება - მოდიფიცირების პროცესში. განმახორციელებელმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი ინტენსიურად არიან ამ პროცესში ჩართულნი პირდაპირი კომუნიკაციისა და უკუკავშირის ფორმით; სტუდენტებმა მოიყვანეს მაგალითი, როცა მათი თხოვნა გათვალისწინებულ იქნა და საგანი - „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“ ძირითადიდან არჩევით საგნებში იქნა გადატანილი; დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ მუდმივი უკუკავშირით ახდენენ სამუშაო პოზიციებისთვის აუცილებელი კომპეტენციების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, რის შემდეგაც ხდება აღნიშნულის გათვალისწინება. მათ ასევე სასურველად მიაჩნიათ კომპანიაში დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მხრიდან მეტი

ინიციატივის გამოვლენა, რაც გარკვეულწილად, სწორედ ავტონომიურობის კომპონენტს ფარავს.

პროგრამის განმახორციელებელი პირები დამსაქმებლებთან კომუნიკაციისას ახდენენ პროგრამის შედეგების გაცნობას, მათი ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რაც მათთან ინტერვიუირებისასაც დადასტურდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა;
- ინგლისური ფილოლოგიის პროგრსმის თვითშეფასების ანგარიში;
- შედეგების რუკა;
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.
- პროგრამის სწავლის შეფასების მექანიზმი.

რეკომენდაციები:

- განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები პროგრამის თოთოეული შედეგისთვის და პროგრამის შედეგების რუკაში აისახოს მიმართება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია კურსების შედეგებში მოცემული ის კომპონენტები, რომლებიც პასუხობენ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილს იყოს გამიჯნული უნარების კომპონენტიდან.
- სასურველია, კვლევითი უნარების განვითარების პროგრამაში არსებული შესაძლებლობის მეტად გამოკვეთა;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	x	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მოწოდებული დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით, იკვეთება, რომ პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება შიდა და გარე მექანიზმებით. შიდა ხარისხის შეფასება მოიცავს აკადემიური მოსწრების ანალიზს, სწავლის შედეგების რუკის ფორმირებას (რუკის მეტი ინფორმირებულობის საჭიროებაზე ყურადღება გამახვილებულია 1.2. ქვესტანდარტში), პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა (გუნდური მუშაობის პრინციპით), და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას (UG online სისტემის დახმარებით). გარე ხარისხის შეფასებაში მოიაზრება დამსაქმებელთა (რაც მათთან წარმოებული გამოკითხვის შედეგებითაც დასტურდება) და კურსდამთავრებულთა კვლევა (პროგრამის სწავლის შეფასების მექანიზმების დოკუმენტი) და ასევე, დარგის ერთი ადგილობრივი, ასევე ერთი საერთაშორისო ექსპერტის შეფასება (აღნიშნული საკითხი უფრო ფართოდ მიმოხილულია მე-5 სტანდარტში). პროგრამის ფარგლებში დეკლარირებული სწავლის შედეგები საგნობრივ დონეზე, პირდაპირი შეფასების ფარგლებში ფასდება სემესტრულად თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. სილაბუსებში მოცემული შეფასების კრიტერიუმები შუალედური და დასკვნითი გამოცდისთვის მოცემულია საგნის მახასიათებელთა გათვალისწინებით და პუნქტებად არის წარმოდგენილი მათი ქულობრივი შეფასების კრიტერიუმები (კურსი - განათლების გლობალიზაცია, შეფასება - პროექტი, მცირე კვლევა; საგანი - აკადემიური წერა ფილოლოგებისთვის - პრეზენტაცია, რეფერატი). სხვადასხვა კურსების ფარგლებში მოცემული შეფასების მეთოდები, საერთო ჯამში, ვარიაციული ხასიათისაა (ქვიზი - ზეპირი/წერითი ფორმით, რეფერატი, პრეზენტაცია, მცირე კვლევის მომზადება/წარდგენა, მონოლოგური და დიალოგური ფორმის გამოკითხვა, ესე, თემა, ტერმინთა განმარტება. და ა.შ.).

ხარისხის სამსახურთან ინტერვიუირებისას ექსპერტთა მხრიდან დაისვა შეკითხვები შეფასების მეთოდთა შერჩევის მექანიზმზე, რაზეც მათ უპასუხეს, რომ შეფასების არსებული მეთოდების ბანკიდან კურსის განმახორციელებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, საგნის მახასიათებლის გათვალისწინებით, მოახდინონ შეფასების მეთოდთა სელექცია და კურსში ინტეგრაცია. ასევე აღნიშნეს, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს შესაძლებლობა, თავად შეიტანოს შეფასების ახალი, სასურველი მეთოდი ბანკში, რაც უფრო ფართო მასშტაბის კონტრიბუციის ხასიათსაც ატარებს. საუკეთესო მაგალითად მოიყვანეს ტექნიკური მიმართულების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი კურსების სრული დივერსიფიცირებულობა შეფასების კომპონენტში, რაც განპირობებული იყო საგანთა თავისებურებებით. აღნიშნული მიდგომა მოცემული ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში შედარებით ნაკლებად იგრძნობა და მასში არსებული საგნების შეფასების სისტემის ფორმატი შედარებით ერთფეროვანია, რაც ერთი მხრივ, განპირობებულია დარგის ძირითადი მახასიათებლებითაც.

სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებად მოცემულია კურსდამთავრებულთა, პროგრამის განმახორციელებელთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და შრომის ბაზრის კვლევა. არაპირდაპირი შეფასებისას შერჩეული კითხვების გათვალისწინებით ხდება მოცემული მიმართულებით არსებული საერთო ტენდენციებისა და პროგრამაში დეკლარირებულ შედეგთა აქტუალობის დადასტურება.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულების დოკუმენტის თანახმად, პროგრამის შედეგების შეფასება ხდება სკოლის საბჭოზე, პირდაპირი მექანიზმის გამოყენებით წელიწადში ერთხელ, ხოლო შეფასების არაპირდაპირდაპირი მექანიზმის გამოყენებით არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ (პარაგრაფი 4, საგანმანათლებლო პროგრამის დებულება). პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და ხელმძღვანელთან ინტერვიუირებისას დადასურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეგედთა შეფასების ანალიზის გაცნობა შესაბამისი პერიოდულობით ხდება.

პროგრამის შედეგების შეფასებისთვის გამოყენებულ მონაცემთა მონიტორინგი, დამუშავება, ანალიზი და პროგრამაში შესაბამისად ასახვის უზრუნველყოფა მოხდა პროგრამის განვითარების საბჭოს მიერ, რაც პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროსაც აღნიშნა (გვ. 29. თვითშეფასების დოკუმენტი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ღიაა აკრედიტაციის პროცესში შემოთავაზებული რჩევების გასათვალისწინებლად, რაც უდავოდ, დადებითი მხარეა და ადასტურებს პროგრამის განვითარების საუკეთესო ინტერესს. აღნიშნული მიდგომა კი პროგრამის შინაარსის, ან რესურსების განახლებისა და განვითარებისკენაა მიმართული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შეფასების მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	x	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი და კომპლექსურობა უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს შეესაბამება. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულება ეხმიანება კანონმდებლობით დადგენილ წესებს და პროგრამა შესაბამისად მოიცავს 240 ECTS კრედიტს. აღნიშნული კრედიტები გადანაწილებულია შემდეგნაირად: 174 ECTS - პროგრამის ძირითადი საგნები; 12 ECTS - პროგრამის სავალდებულო ასარჩევი საგნები (სავალდებულო ასარჩევი საგანი, ან საბაკალავრო ნაშრომი); 24 ECTS - პროგრამის სავალდებულო ასარჩევი საგანი (მეორე ევროპული ენა); 18 ECTS - პროგრამის ასარჩევი საგნები; 12 ECTS - თავისუფალი კრედიტები. მოცემული გადანაწილება თითოეულ საგანთა კატეგორიის (ძირითადი, არჩევითი, სავალდებულო არჩევითი, არჩევითი) ფარგლებში ვარირებს 3 დან 9 კრედიტამდე (6 საგანი 9 კრედიტით, 5 საგანი 3 კრედიტით, დანარჩენი კი 6 კრედიტით), მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომისთვის არის დათმობილი 12 ECTS კრედიტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბაკალავრო ნაშრომი ინგლისურ ენაში მოცემულია სავალდებულო ასარჩევი საგნების კატეგორიაში, რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ ეს პროგრამის მეტი მქნილობის მიზნით მოხდა. დანარჩენი სამი სავალდებულო ასარჩევი საგანი კი არის 6 ECTS კრედიტიანი თითოეული, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას ან საბაკალავრო ნაშრომზე იმუშავოს და მიიღოს 12 ECTS კრედიტი, ან აირჩიოს ორი იმავე კატეგორიის საგანი (მხატვრული ტექსტის ანალიზი, ასოციაციური ექსპერიმენტი ლინგვისტიკაში, ან განათლების გლობალიზაცია) და მიიღოს ჯამში ისევ 12 ECTS კრედიტი.

პროგრამით გათვალისწინებული საგნები კომპლექსურია და შეესაბამება სწავლების საფეხურს. საგანთა ჩამონათვალი ფარავს როგორც ლინგვისტური (ენათმეცნიერების შესავალი), ლიტერატურული (მსოფლიო ლიტერატურა I, II), პედაგოგიური (სწავლების მეთოდიკა), და ხარისხის მართვის (ხარისხის მართვა სკოლაში) აქცენტებს. ასევე მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ საგნებს, რაც პროგრამის მიზანს (საბაკალავრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირება) ეხმიანება.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული საგანთა სემესტრული განლაგებისას დაცულია საგანთა წინაპირობით გავლის აუცილებლობა (საგნის - სწავლების მეთოდიკა წინაპირობაა საგნისთვის - ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა). საბაკალავრო ნაშრომის დაცვისათვის საჭირო კველვითი უნარები სხვადასხვა კურსის ფარგლებში (აკადემიური წერა ფილოლოგებისთვის I, II) იფარება და ქმნის ლოგიკური განვითარების ჯაჭვს. პროგრამის ტექნიკური ხასიათის

აგების პრინციპზე ყურადღება გამახვილებულია გარე შეფასების დოკუმენტშიც (Evaluation Report), სადაც საბაკალავრო პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გადანაწილება მიჩნეულია ლოგიკურ საფუძვლად ამავე მიმართულების პროგრამის სამაგისტრო საფეხურზე განსახორციელებლად. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტის ბაკალავრიატის შემდგომი საფეხურები ხასიათდება კვლევითი კომპონენტების მეტი ინტენსივობით წარმოჩენით, შესაბამისად, იმ სტუდენტებისთვის, ვინც ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში განხორციელებას გეგმავენ, პროგრამა უნდა აძლევდეს შესაბამისი მიმართულებით განვითარებისთვის საკმარის საშუალებასაც პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის სახით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკის ნაწილი, მხოლოდ პედაგოგიური ხასიათის მატარებელია, რომლის შესახებ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ 2.2. სტანდარტში.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი საგნების სილაბუსები;
- პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- გარე შეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	x	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგთა ანალიზის გათვალისწინებით დასტურდება, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში მოცემული კურსები, მათში ასახული შედეგების გათვალისწინებით, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსების შედეგები შესაბამისია საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებთან. კურსების შინაარსი სემესტრის ბოლოს გათვალისწინებული შედეგების შესაბამისია და მათ შორის ლოგიკური ბმა იკვეთება (საგანი - განათლების ისტორია და ფილოსოფია მოიცავს მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პედაგოგიურ-ფილოსოფიური შინაარსის ნაშრომებსა და კონცეფციებს, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს თანამედროვე საგანმანათლებლო თეორია და პრაქტიკა. კურსის შედეგებში კი ეს შემდეგნაირად აისახა: ,,სტუდენტი იცნობს განათლების ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელთა არსებით მოსაზრებებს ადრეული ცივილიზაციებიდან დღემდე განათლების ფუნდამენტური მიზნების, საჭიროებებისა და საშუალებების შესახებ''. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე კურსის სილაბუსის (პედაგოგიური პრაქტიკა, პროფესიული კომუნიკაცია) ავტორი არ დაეთანხმა ექსპერტთათვის მოწოდებული

სილაბუსების ვერსიებს სწავლება/შეფასების ნაწილში. მოცემული საკითხი უფო ვრცლად არის წარმოდეგნილი მე-2 და მე-5 სტანდარტში და ექსპერტთა მხრიდან გაცემულია შესაბამისი რეკომენდაცია.

კურსების კრედიტების გადანაწილება, მოცემულია კურსის შინაარსის გათვალისწინებით (ენა, კულტურა და ლიტერატურა - 9 ECTSკრედიტი, აკადემიური წერა ფილოლოგებისთვის I 6 ECTSკრედიტი, და ზეპირმეტყველება I - 3 ECTSკრედიტი). აღსანიშნია, რომ 6 ECTS კრედიტიანი საგნები რაოდენობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად აღემატება 3 და 9 ECTSკრედიტიან საგნებს, რაც ერთი მხრივ, ქმნის საგანთა სისტემურ, თანაბარი გადანაწილების აღქმასაც.

პროგრამაში შემავალ საგანთა საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების თანაფარდობა დაცულია საგნის შინაარსის გათვალისწინებით. მაგალითად, საგანი „ლექსიკოლოგია“ მოიცავს 6 ECTS კრედიტს - 150 საათს, ამათგან 29 საკონტაქტოს ეთმობა, ხოლო არასაკონტაქტოს - 121 საათი. აღნიშნული სახის თანაფარდობა განპირობებულია დასამუშავებელი ლიტერატურის რაოდენობის გათვალისწინებითაც - სულ 9 ერთეული.

სასწავლო კურსების თითოეული სწავლის შედეგი ფასდება თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების ფორმები და მექანიზმი ყველა სილაბუსში, ძირითადად, იდენტური ხასიათისაა და შეფასების კომპონენტთა ჩაშლაც მსგავს ხასიათს ატარებს. შუალედური და დასკვნითი შეფასებები მოცემულია როგორც ქულობრივი, ასევე პროცენტული გადანაწილებითაც, რაც დამატებით ძალისხმევას მოითხოვს მისი სწორად აღქმისთვის. სასურველია, შერჩეული იყოს შეფასების ქულობრივი, ან პროცენტული მაჩვენებლები. ასევე, ტექნიკური თვალაზრისით, სასურველია, შეფასების პროგრესულობა 1%-დან 100%-მდე, ან პირიქით დაცული იყოს (მაგალითად, საგანი - ფრანგული ენა A1).

პროგრამის ფარგლებში მოქმედი საგნებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურა, მეტწილად, ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს და ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო კატალოგში ბეჭდური და ელექტრონული ფორმით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლიტერატურის გამოცემის წლები, სააკრედიტაციოდ მოწოდებული პროგრამის სილაბუსებისა და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით ვარირებს 1999-დან 2022 წლამდე (მაგ. კურსი ,,ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა''). სილაბუსში - განათლების ისტორია და ფილოსოფია, კურსის აღწერითი ნაწილის მიხედვით: ,,სტუდენტები მიიღებენ საფუძვლიან წარმოდგენას თანამედროვე განათლების სისტემის არსებითი საკითხების და პრინციპების, განათლების სამომავლო პერსპექტივების შესახებ''- ძირითად ლიტერატურად მითითებულია 1999-2004 წლამდე გამოცემული სახელძღვანელოები. ექსპერტთა ჯგუფს

მიაჩნია, რომ კურსის შინაარსისა და მისი მიზნებიდან გამომდინარე, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მითუმეტეს, რომ აღნიშნული საგანი წარმოადგენს ძირითად სასწავლო კურსს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- ინფრასტრუქტურისა და რესურსების დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო კურსის ,,განათლების ისტორია და ფილოსოფია ძირითადი სასწავლო ლიტერატურა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მოხდეს სხვადასხვა სასწავლო კურსისთვის სწავლის შედეგების შეფასების ფორმების დივერსიფიკაცია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	x	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>	**<u>x</u>**
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ენის ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტაციის ანალიზისა და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამაზე სტუდენტთა დაშვება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. კერძოდ, *„საქართველოს მოქალაქეებისათვის: აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და უნივერსიტეტის პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის: უცხოელმა აბიტურიენტებმა,*

რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი საშუალო განათლება საზღვარგარეთ ან მისი ექვივალენტი, ან/და ზოგადი საშუალო განათლების ბოლო ორი წლის განმავლობაში ისწავლეს საზღვარგარეთ, ან სტუდენტები, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო ორი ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ საზღვარგარეთ მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებში შეძლებენ პროგრამაში ჩარიცხვას ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე №. 224/ნ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (29 დეკემბერი, 2011) ბრძანების თანახმად''(გვ. 39, თვითშეფასების ანგარიში).

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამაზე სწავლის წინაპირობად ინგლისური ენის სავალდებულო კომპეტენცია განისაზღვრება B2 დონით, როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის, ასევე უცხოელი აბიტურიენტისათვის. ენის B2 დონეზე ფლობის დასადასტურებლად, უცხოელ აბიტურიენტს უღიარდება რომელიმე საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL IBT, IELTS PTE, FCE), ან თუ მას არ გააჩნია ერთ-ერთი ზემოაღნიშნული საერთაშორისო სერთიფიკატებიდან, მას უნივერსიტეტი უტარებს B2 დონის შესაბამის ტესტს. რაც შეეხება საქართველოს მოქალაქებს, ისინი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ეროვნული გამოცდების ჩაბარების შედეგად ირიცხებიან პროგრამაზე. პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუსა და დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტაციასთან გაცნობის შედეგად ასევე ცნობილი გახდა, რომ ეროვნული გამოცდების ანკეტა-კითხვარში მოცემული პროგრამისთვის დაწესებულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ინგლისურ ენის გამოცდაში 74%-ზე მეტი, თუმცა, ეს გარემოება აბიტურიენტის მხოლოდ B1 დონის კომპეტენციის დადასტურებას უზრუნველყოფს. ინგლისურ ენაში ეროვნულ გამოცდაზე მაქსიმალური ქულის მიღების შემთხვევაშიც კი, აბიტურიენტს შეიძლება დაუდასტურდეს მაქსიმუმ B1 დონე, ისიც მხოლოდ სამ ენობრივ კომპეტენციაში (კითხვა, წერა, მოსმენა), რადგან საუბრის კომპეტენციას, ინგლისური ენის ეროვნული გამოცდა არ ამოწმებს). აქედან გამომდინარე, ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, შეუძლებელია დადგინდეს, გააჩნიათ თუ არა აბიტურიენტს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის კომპეტენცია, რაც გადამწვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტორია, რადგან პროგრამის შინაარსი და დასაუფლებელი კურსები ინგლისური ენის მომდევო C დონის კომპეტენციის გამომუშავებას ითვალისწინებს.

თვითშეფასების დოკუმენტსა და პროგრამაში ვკითხულობთ: ,,ინგლისური ენის სავალდებულო კომპეტენცია განისაზღვრება B2 დონით. ინგლისურის დონის დასადასტურებლად უცხოელ აბიტურიენტს უღიარდება საერთაშორისო სერტიფიკატები: TOEFL IBT – მინიმალური ქულა 80; IELTS – მინიმალური ქულა 6; PTE General –

მინიმალური დონე B2''. საერთაშორისო გამოცდების ოფიციალურ ვებ გვერდებზე მოცემული ქულათა შეფარდების თანახმად: B2 დონე შეესაბამება TOEFL -ის 72 (და არა 80) და IELTS -ის 6 ქულას. ქულობრივი სხვაობა, რაც შეინიშნება უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ მონაცემებსა და საერთაშორისო გამოცდების ოფიციალურ ვებ საიტზე მოცემულ ქულათა შეფარდებას შორის, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვადასხვა საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელ აბიტურიენტებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამაზე დაშვების პროცედურის სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა მოცემული პროგრამისთვის განსაზღვრულ წინაპირობებში მიეთითოს B2 დონის ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი TOEFL და IELTS გამოცდების ქულების ზუსტი შეფარდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის, ისევე როგორც დაშვების პროცედურის სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამაზე დაშვების წინაპიროებების პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასა და შედეგებთან სინქრონიზაცია.

პროგრამაზე მიღება ხორციელდება საქართველოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაშია ინტეგრირებული. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ წარმოდგენილი პროგრამის კონტიგენტის დაგეგმვის პროცესში შეფასებული და გათვალსწინებულია შემდეგი ფაქტორები: პროგრამის სპეციფიკა, დაწესებულებაში არსებული ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები, რომელიც საჭიროა მოცემული პროგრამის განხორციელებისთვის, ისევე როგორც ბაზრის კვლევის შედეგები და დამსაქმებელთა უკუკავშირი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები, ისევე როგორც ენის კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტი შიდა გამოცდისთვის, საჯარო და ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.ug.edu.ge);
- 2022 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამა უცხოურ ენებში;

- TOEFL საერთაშორისო გამოცდის ოფიციალური ვებ-გვერდი: https://www.ets.org/toefl/score-users/ibt/compare-scores.html#accordion-1e9bee5a64-item-26098d20a4
- ცნობარი აბიტურიეტებისათვის 2022 ერთიანი ეროვნული გამოცდები ;
- ინტერვიუს შედეგები.
- ეროვნული გამოცდების პროგრამა ინგლისურ ენაში
- ბრძანება №841 2006 წლის 28 სექტემბერი ,,ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ''(კონსოლიდირებული ვერსია);

რეკომენდაციები:

- პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის და პროგრამაზე დაშვების სამართლიანობის უზრუნველაყოფად, რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასა და შედეგებთან სინქრონიზაცია, ასევე, პროგრამის წინაპირობებში ზუსტად განისაზღვროს B2 დონის ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი TOEFL და IELTS გამოცდების ქულების ურთიერთშეფარდება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის დოკუმეტაციასთან გაცნობის საფუძველზე, ისევე როგორც დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტაციასთან გაცნობისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ ინგლისური ენის ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი კვლევითი კომპეტენციით. კვლევის უნარების გამომუშავება იწყება პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგირებული მცირე პროექტების შესრულებით და გრძელდება იმ კვლევითი აქტივობებით, რომლებსაც უზრუნველყოფს პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები. დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ ამ თაამშომლობის ფრაგლებში სტუდენტები იძენენ სხვადასხვა კვლევით პროექტში მონაწილეობის გამოცდილებას. ამასთან, სტუდენტთა კვლევითი აქტივობის გამომუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების სკოლებს, რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ კვლევით პროექტს „ინგლისურენოვანი პროფესიული კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დამოუკიდებელი სწავლის პროგრამის კონსტრუირების პრინციპები“.

კლევითი უნარების გამომუშავების შესაძლებლობაა არჩევითი კომპონენტის სახით, პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის ინტეგრირებაც. სურვილის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია, შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი, რომლის პროცედურა, შესრულების ფორმატი და მოთხოვნები განსაზღვრულია შესაბამისი საუნივერსიტეტო დებულებებით, რომელსაც ექსერტთა ჯგუფი დამატებითი მოთხოვნის შედეგად გაეცნო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე ასევე დასტურდება, რომ სტუდენტების კვლევით აქტივობას ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით, მხარს უჭერს უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები (მაგ: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური). სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ ისინი მუდმივად ინფორმირებული არიან კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობებზე. ინგლისური ფილოლოგიის პროფესორთა და სტუდენტთა კვლევითი აქტივობის თვალსაჩინო მაგალითია ის ფაქტი, რომ ,,საქართველოს უნივერსიტეტის ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის 4 პროფესორი 2021 წელს გახდა SADAB-ის საორგანიზაციო და სამეცნიერო

კომიტეტების წევრი. SADAB-ის საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტის გადაწყვეტილებით 2 საუკეთესო მოხსენების ავტორი სტუდენტისა და 3 საუკეთესო მოხსენების ავტორი პროფესორისათვის მონაწილეობა SADAB-ის მიერ ორგანიზებულ ნებისმიერ საერთაშორისო კონფერენციაში უფასო გახლდათ'' (თვითშეფასების ანგარიში). 2022 წელსაც SADAB-ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე სრული ფინანსური მხარდაჭერით ისარგებლეს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა და პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა. აღნიშნული აქტივობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციითაც.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი სრულიად შეესაბამება სწაავლების საფეხურს და დაგეგმილია სწავლის ერთ-ერთ შედეგის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს პედაგოგიური კომპეტენციისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის აღზრდას. შესაბამისად, განათლების ბლოკში გაერთიანებულ კურსებს შორის გამოკვეთილი ადგილი უჭირავს პროფესიული პრაქტიკის კურსს. მოწოდებული დოკუმენტაციისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ პედაგოგის პროფესიული პრაქტიკის ინტეგრირება ინგლისური ენის ფილოლოგიის პროგრამაში გამოწვეულია შრომის ბაზრის მოთხოვნით და კურსდამთავრებულების (როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სტუდენტების შემთხვევაში) საგანმანათლებლო-პედაგოგიურ დაწესებულებებში დასაქმების სტატისტიკით. დამსაქმებლებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი დასაქმებულია ენის ცენტრებსა და სკოლებში (დაწყებითი კლასის მასწავლებლებად). პროგრამის განმახორციელებლების ხელთ არსებული ინფორმაციით, უცხოელი კურსდამთავრებულებიც კი უმეტესწილად პედაგოგებად იწყებენ მუშაობას თავიანთ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

პედაგოგიური პრაქტიკა უზრუნველყოფილია დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას. მაგალითად, პედაგოგური პრაქტიკის მიზნით, პროგრამას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 2 საშუალო სკოლასთან. თითოეული მათგანი ითვალისწინებს 10 სტუდენტის პრაქტიკაზე მიღებას. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე პედაგოგიური პრაქტიკის შესაძლებლობა 20 სტუდენტისთვის აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნას, თუმცა, ვინაიდან პროგრამას 117 აქტიური სტუდენტი ჰყავს, სასურველია, რომ მომავალში გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები პედაგოგიური პრაქტიკის ობიექტების გაზრდის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შესაბამისი სილაბუსიდან ,,პედაგოგიური პრაქტიკა'' იკვეთება, რომ სტუდენტს პრაქტიკის გავლის პერიოდში, რომელიც 13 კვირა გრძელდება, ხელმძღვანელობს კვალიფიციური პირი, როემლიც აფასებს სტუდენტის

საქმიანობას. აღნიშნული პირის კვალიფიკაცია დასტურდება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი CV-ს და ინტერვიუს საფუძველზეც. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იგი არის ,,პედაგოგიური პრაქტიკის'' კურსის და პრაქტიკის ხელმძღვანელი, თუმცა, ინგლისური ენის ფილოლოგიის ინგლისურენოვან პროგრამაში არ უძღვება პედაგოგიური პრაქტიკის კურსს. ანალოგიურად, სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ პროფესიულ პრაქტიკას ხელმძღვანელობს სხვა პროფესორი, რაც დადასტურდა უნივერსიტეტის მიერ დამატებით წარმოდგენილი პედაგოგიური პრაქტიკის დოკუმენტაციის საფუძველზეც (პრაქტიკის დღიური, სასწავლო გეგმა, მენტორის შეფასების ფორმა და სხვ), სადაც აღნიშნული პროფესორის ვინაობა განსხვავდება პედაგოგიური პრაქტიკის კურსის კურატორის ვინაობისგან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პრაქტიკის ამჟამინდელი ხელმძღვანელიც ფლობს შესაბამის კვალიფიკაციას. ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს დაზუსტებულ ინფორმაციას პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელზე/ხელმძღვანელებზე.

როგორც ზემოთ უკვე აღვიშნეთ, პედაგოგიური კომპეტენციით აღჭურვილი პროფესიონალის ჩამოყალიბება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს, თუმცა, არა ერთადერთს. პროგრამის შედეგები ასევე მოიცავს ,,ეფექტური კომუნიკატორის'' უნარსა და კომპეტენციას. კურსდამთავრებულის მომავალი საქმიანობის სფერო შეიძლება მოიცავდეს არა მხოლოდ პედაგოგიურ საქმიანობს, არამედ, მაგალითად, როგორც წარმოდგენილი პროგრამის აღწერასა და შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტშია აღნიშნული, ისეთ სფეროებსა და ინსტიტუციებს, როგორიცაა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, სახელმწიფო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, გამომცემლობები და საელჩოები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რეკომენდებულია, პროგრამა, ითვალისწინებდეს პედაგოგიურ პრაქტიკასთან ერთად არაპედაგოგიური, ,,პროფესიონალი კომუნიკატორის'' პრაქტიკის შესაძლებლობასაც, თუნდაც კურსში ჩაშენებული პრაქტიკის სახით, და შესაბამის კურსის სილაბუსში, მემორანდუმებსა და დანართებში განისაზღვროს აღნიშნული პრაქტიკის მიზანი, შედეგები ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.ug.edu.ge); სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი (www.eqe.ge);
- უსდ აკრედიტაციის სტანდარტები;
- პროექტი „ინგლისურენოვანი პროფესიული კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დამოუკიდებელი სწავლის პროგრამის კონსტრუირების პრინციპები“;
- დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- კონფერენციების პროგრამები.
- პრაქტიკის დღიური.
- სასწავლო გეგმა.
- მენტორის შეფასების ფორმა
- შრომის ბაზრის კვლევა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამა ითვალისწინებდეს პედაგოგიურ პრაქტიკასთან ერთად არაპედაგოგიური, ,,პროფესიონალი კომუნიკატორის'' პრაქტიკის შესაძლებლობასაც, თუნდაც კურსში ჩაშენებული პრაქტიკის სახით და შესაბამისი კურსის სილაბუსში მემორანდუმებსა და დანართებში განისაზღვროს აღნიშნული პრაქტიკის მიზანი, შედეგები ხანგრძლივობა და პრაქტიკანტი სტუდენტების რაოდენობა.
- რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს დაზუსტებულ ინფორმაციას პედაგოგიური პრაქტიკის კურსის ხელმძღვანელზე/ხელმძღვანელებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის სტუდენტთა კოტინგენტის ზრდასთან შესაბამისად, გაიზარდოს პედაგოგიური პრაქტიკის ობიექტების რაოდენობაც.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერიტეტის ფილოლოგიის ინგლისურენოვან პროგრამაში განსაზღვრულია სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი; ინტერაქტიული მეცადინეობები; ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაცია; ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტი (მცირე კვლევა) შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში, წერითი მეთოდი ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები, შემთხევათა ანალიზი (case study), საველე პრაქტიკა, ვერბალური მეთოდი; დისკუსია/დებატები; ლექცია-სემინარი, ზეპირი გამოკითხვა. ისინი შეესაბამება სწავლების საფეხურს, დარგობრივი მახასიათებლებოს მოთხოვნებს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ისინი მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარის მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე. კურსდამთავრებულის მიერ აღნიშნული უნარების ფლობა დადასტურდა ინტერვიუს დროს დამსაქმებლებლების მიერ მოწოდებული უკუკავშირის შედეგადაც.

სტუდენტები ადასტურებენ სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას, ინტერაქციას, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტენსიური კომუნიკაციის შესაძლებლობებს როგორც სალექციო, ისე დამატებითი, საკონსულტაციო შეხვედრების ფორმით.

სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. მოწოდებული დოკუმენტაციისა და პროგრამის

განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამა ითვალისწინებს ინდივიდუალური გეგმის შედგენის შესაძლებლობას, თუმცა, ჯერ ასეთი საჭიროება არ დამდგარა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია ასეთი შესაძლებლობის შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ უნივერისტეტში ეწყობა საორიენტაციო კვირეული, როცა სკოლის ხელმძღვანელობა პროგრამის განმახორციელებლებთან ერთად მჭირდო თანამშრომლობის პირობებში, მიაწოდებს ინფორმაციას ზოგადად პროგრამის და მისი სწავლა-სწავლების მეთოდების შესახებ. თითოეული კურსის ფარგლებში, პროფესორი, სასწავლო წლის დასაწყისში, ახდენს სილაბუსის გაცნობას და მასში ინტეგრირებული სწავლა სწავლების მეთოდების განმარტებას. ასევე, ვინაიდან პროგრამაში ჩართული არიან უცხოელი სტუდენტები, სასწავლო წლის დასაწყისში უნივერსიტეტში ეწყობა ,,ტოლერანტობის კვირა'', რაც მნიშვნელოვანი აქტივობაა კულტურული ადაპტაციის თვალსაზრისით და საუკეთესო შესაძლებლობას აძლევს პროგრამის განმახორციელებლებს, გაითვალისწინონ ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების კულტურული ან/და სხვა საჭიროებები სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებისას.

დისტანციური სწავლების საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს ყველა საჭირო ელექტრონული რესურსით, შემუშავებულია მეთოდოლოგია და სწავლების სისტემა, რომელიც არ იწვევს პროგრამის მიზნების და სწავლების შედეგების ცვლილებას. უნივერსიტეტში ფუნციონირებს გამართული ელექტრონული პლატფორმა - UG online, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ ფუნციონირებას დისტანციური სწავლების ფორმატშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსადამთავრებულთა და დამსაქმებლის გამოკითხვის ანალიზი;
- უსდ-ს ვებგვერდი (www.ug.edu.ge).
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სააკრედიტაციო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტთან, კურსების სილაბუსებთან გაცნობისა და ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3 და საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ დადებით შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. სტუდეტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი;

პროგრამის სილაბუსების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასში მოცემული თითოეული კურსის შეფასების კომპონენტი უმეტესწილად ითვალსიწინებს კურსის სპეციფიკას, თუმცა, გამოვლინდა შემთხვევები, როცა პედაგოგის მიერ მითითებული შეფასების მეთოდი არ შეესაბამება კურსის შინაარს და შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასებას: მაგალითად, კურსში ,,პროფესიული კომუნიკაცია'' შუალედური გამოცდის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს თარგმნა, რაც არ შეესაბამება კურსის შინაარსს და დასახულ მიზნებს. კურსის განმახორციელებელთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ ეს კურსი სრულიად არ ითვალისწინებს თარგმანს, როგორც შეფასების მეთოდს. ასევე, კურსის - ,,პედაგოგიური პრაქტიკა'' სილაბუსი მოიცავს ქვიზებს, რომელთა არსებობა, ასევე დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად. სილაბუსის კურატორთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურსი არ ითვალისწინებს ქვიზების შესრულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რეკომენდებულია, განხორციელდეს სასწავლო კურსების - ,,პროფესიული კომუნიკაცია“ და ,,პედაგოგიური პრაქტიკა'' სილაბუსების შეფასების მეთოდების კურსის შინაარსსა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამაში ჩართულ პირებთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები არის გამჭირვალე. ისინი ხელმისაწვდომია კურსის სილაბუსში. სასწავლო წლის დსაწყისში კურსის პედაგოგი აცნობს სტუდენტებს სწავლა-სწავლების და შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს. ასევე, პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ზეპირი გამოცდები წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში ტარდება კომისიური წესით. შეფასებას ახდენს არამარტო კურსის პედაგოგი, არამედ წინასწარ განსაზღვრული კომისია. დაცულია წერითი შეფასების ობიექტურობა და ვალიდურობაც. წერითი ფორმატის მქონე ნაშრომის შეფასებები ხორციელდება ელ. ფორმით. სპეციალური კომპიუტერული პროგრამა უზრუნველყოფს რამოდენიმე ვარიანტის გენერირებას შემთხვევითობის პრინციპით. სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუების დროს ასევე დადასტურდა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, ასევე საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. წერითი მაშრომის/გამოცდის/შეფასების შემთხვევაში, კურსის ლექტორი უკუკავშირის მიწოდებას ახდენს ნაშრომზე კომენტარების სახითაც.

წერითი ნაშრომებისთვის (საბაკალვრო ნაშრომი, რეფერატი, კვლევითი პროექტი) განსაზღვრულია ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილი APA. საბაკალავრო ნაშრომის

შესრულების შემთხვევაში, ნაშრომის ტექნიკურ ფორმატს და აკადემიურ სტილთან თავსებადობას ამოწმებს საბაკალავრო ნაშრომებზე პასუხისმგებელი პირი, შინაარსობრივ (პროფესიულ) მხარეს - სპეციალურად შერჩეული ექსპერტი.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაციასა და ექსპერტების მიერ დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტაციასთან გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმები. ყველა წერითი ნაშრომი მოწმდება ანტიპლაგიატის პროგრამით Turnitin. ექსპერტთა ჯგუფს, დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე, მიეწოდა ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმებული ნაშრომები, რომელსაც თან ერთვის შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სააკრედიტაციოთ წარდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამაში ჩართულ პირებთან ინტერვიუების საფუძველზე, დასტურდება, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციის და რეაგირების ეფექტური მექანიზმი; უზრუნველყოფილია სტუდენტების შეფასების გასაჩივრება, რომელიც რეგულირდება საუნივერსიტეტო დებულებით ,,საბაკალავრო სწავლების დებულება''. გასაჩივრების პროცედურა არის გამჭირვალე და ობიექტური. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს შეფასების შედეგების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება სხვა შემფასებლების მიერ. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მათ იციან აღნიშნული პროცედურის თაობაზე, თუმცა, პირადად არასოდეს დასჭირვებიათ მისი გამოყენება. საჭიროების შემთხვევაში, ისინი პროფესორისგან დამატებით იღებენ დამაკმაყოფილებელ უკუკავშირს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე ასევე დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი სისტემატიურად ახდენენ შეფასების შედეგების ანალიზს, რათა განახორციელონ საჭირო აქტივობები სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს გამართული ელექტრონული პლატფორმა - UG online და საგამოცდო ცენტრი, რომელიც შეუფერხებლად ახდენდა სტუდენტების შეფასების სანდოობის და ვალიდურობის მონიტორინგს პანდემიის პირობებში, როცა მასიურად მოხდა უსდ-ების დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა. ამ მიზნით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნივერსიტეტი მიმართავს წერითი დავალებების რამოდენიმე ვარიანტის შემთხვევითობით შერჩევა-დაჯგუფების და ზეპირი შეფასების კომისიური წესით განხორციელების პრინციპს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება;
- პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
- საბაკალავრო სწავლების დებულება

რეკომენდაციები:

- განხორციელდეს სასწავლო კურსების - ,,პროფესიული კომუნიკაცია'' და ,,პედაგოგიური პრაქტიკა'' სილაბუსების შეფასების მეთოდების კურსის შინაარსსა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ მიერ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

უზრუნველყოფილია სტუდენტებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა: სტუდენტები საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, დასაქმებასა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაზე, კონფერენციებსა და პროექტებზე რეგულარულად იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის მხრიდან; ინტერვიუებიდან დადასტურდა, რომ სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციაში, თუმცა, დისტანციურად, მაგრამ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა პროგრამის არც ერთ სტუდენტს არ მიუღია საქართველოს უნივერსიტეტის მხრიდან (იხ. სტანდარტი 1.1), თუმცა საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან განხორციელდა 5 უცხოელი სტუდენტის მობილობა. შესაბამისად, საჭიროა, უნივერსიტეტის მხრიდან გაძლიერდეს აღნიშნული მიმართულებით მუშაობა, რათა საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს შეეძლოთ საერთაშორისო

გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობის გამოყენება (იხ. შესაბამისი რეკომენაცია, 1.1. ქვესტანდარტში).

სტუდენტებისათვის კომფორტული და მოსახერხებელია საუნივერსიტეტო პორტალი, სადაც მათ აქვთ შესაძლებლობა პირდაპირ დაამყარონ კომუნიკაცია და მიიღონ საჭირო ინფორმაცია როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან; გარდა ამისა, უნივერსიტეტი სხვა საკომუნიკაციო პორტალებსაც აქტიურად იყენებს. როგორც ინტერვიუებში აღინიშნა, სტუდენტებს წინსწრებით ეცნობებათ სასწავლო კურსის სილაბუსი, ხოლო კითხვების შემთხვევაში, შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ ლექტორს ან ადმინისტრაციას დამატებითი მხარდაჭერის მისაღებად. თუმცა, აქვე აღსანიშნია, რომ ზოგიერთი სტუდენტი არ იყო ინფორმირებული კონკრეტული გრაფიკის შესახებ, რომელიც დგინდება უნივერსიტეტის მხრიდან და განსაზღვრულია კონკრეტული საკონტაქტო დრო და ადგილი, როდესაც სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორებთან დამატებითი კონსულტაციის გავლა.

ასევე, აღსანიშნია უნივერსიტეტის მხრიდან საერთაშორისო სტუდენტების უნივერსიტეტის ცხოვრებაში ჩართულობაზე ზრუნვა: სტუდენტური ცენტრი სტუდენტებს უტარებს საორიენტაციო შეხვედრებს და აცნობს მათ თუ ვის უნდა მიმართონ, აწყობენ შეხვედრებს პროგრამაში ჩართულ პირებთან, ტარდება ტოლერანტობის კვირეული, რომელშიც ყველა საერთაშორისო სტუდენტი იღებს მონაწილეობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხირცილებეული ინტერვიუები;
- გაცვლითი სტუდენტების სტატისტიკის დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ.გვერდი.

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოხდეს სტუდენტის ინფორმირება თითოეული კურსისთვის განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	x	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები), მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან, რაც შესაძლებელს ხდის პროგრამების შედეგების მიღწევას. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონაცემთა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი რიცხობრივი მონაცემები (იხ. ცხრილი).

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	26	15	12	13

პროფესორი	4	2	2	4
ასოცირებული პროფესორი	9	9	9	9
ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
ასისტენტი	1	0	0	1
მოწვეული პერსონალი	10	10	1	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

სააკრედიტაციოდ მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგთა გათვალისწინებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე ვლინდება, რომ პროგრამის განმახორციელებლები აქტიურად არიან ჩართულნი სამეცნიერო აქტივობებში, რაც დადასტურდა მათთან ინტერვიუირებისასაც. ექსპერტთათვის მოწოდებული დოკუმენტაციის გათვალისწინებით იკვეთება, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად აქვეყნებს სტატიებს საზღვარგარეთის ჟურნალებში და გადის კურსებს/ტრენინგებს ზოგადი და პროფესიული მიმართულებებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სააკრედიტაციოდ მოწოდებული პირადი საქმეები არ არის მოწესრიგებული ქართული ვერსიების ინგლისურთან დადარების თვალსაზრისით. ორივე ვერსიაში სხვადასხვა თარიღია მითითებული სამეცნიერო აქტივობის დასადასტურებლად, რაც მცდარი დასკვნების გამოტანის დიდ ალბათობას ქმნის. მოცემული პრობლემა ექსპერტთა მხრიდან გაჟღერდა და პროგრამის ხელმძღვანელმა გამოთქვა მზაობა მათი სამომავლოდ გამართული სახით წარმოდგენისთვის. ექსპერტთათვის მოწოდებულ დოკუმენტაციას თან ახლდა პერსონალის განვითარების დოკუმენტიც, რამაც ინტერვიუს შედეგებთან ერთად შესაძლებელი გახადა რეალური სურათის მართებული აღქმა. დოკუმენტაციაში მოწოდებული ინფორმაციისა და ინტერვიუს შედეგთა გათვალისწინებით,

დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართულ პერსონალს ნამდვილად აქვს პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია.

პროგრამაში ჩართული პერსონალის საათობრივი დატვირთვის დოკუმენტი ასახავს მათი პროგრამის განხორციელებაში ჩართვის ინტენსივობას, რაც შესაბამის თანაფარდობას ქმნის პროგრამის შედეგების მიღწევისთვის. დოკუმენტი ასევე ასახავს პერსონალის დატვირთვის სქემას სხვა უსდ-ებში და იკვეთება ლოგიკური საათობრივი გადანაწილება, რაც ასევე ქმნის იმის პირობას, რომ არ შეფერხდეს პროგრამის განხორციელება და ასევე სტუდენტთა კონსულტირება. აფილირებულ და არააფილირებულ პერსონალს შორის ბალანსი კი (13/12) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამით გათვალისწინებული მისაღებ და არსებულ სტუდენტთა რაოდენობა (ჯამში 167) ლოგიკურად ნაწილდება განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობაზე (სულ 26). პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან ინტერვიუს შედეგებითა და შესაბამისი დოკუმენტაციის (დანართი1. ინდივიდუალური რაოდენობრივი მაჩვენებლები თვითშეფასების ანგარიშისათვის) ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პერსონალის გადინება არ არის აქტიური და განმახორციელებელი პერსონალი, ძირითადად, სტაბილურად თანამშრომლობს უნივერსიტეტთან პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის საფეხურის შესაბამისად პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია. იგი სრულად არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და განვითარებაში. პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამაზე საუბრისას საქმიან ტონთან ერთად სიყვარულსაც გამოხატავს თავისი საქმის მიმართ, რაც დამატებით დადებით აქცენტებს მატებს სამუშაო პროცესს.

პროგრამის თვითშფასების ანგარიშის შესწავლის, ინტერვიუების შედეგებისა და უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შემდეგ გამოიკვეთა, რომ პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის უნივერსიტეტს გააჩნია როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსი საკმარისი რაოდენობით (სულ 250, მათ შორის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: სასწავლო პროცესის სამსახური, ბიბლიოთეკა, სკოლა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტურ საქმეთა ცენტრი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები;

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეების ტექნიკური მხარის მოწესრიგება საერთო სტანდარტული ფორმატით

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	x	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ხორციელდება პერიოდულად სტუდენტთა და ადმინისტრაციის მხრიდან. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუსა და თვითშეფასების ანგარიშის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სტუდენტების მხრიდან აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება ანონიმურად, სემესტრის ბოლოს და ხდება შედეგთა გაანალიზება პროგრამის ხელმძღვანელთან და სკოლის დირექტორთან ერთად. შეფასება პერსონალის პროფესიული განვითარებისკენაა მიმართული, რაც ხარისხის სამსახურთან ინტერვიუს შედეგების

ანალიზითაც დადასტურდა. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას სკოლასთან ერთად ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც კოორდინაციას უწევს საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, უნივერსიტეტში თანამედროვე ცოდნაზე და ხარისხზე ორიენტირებული კვლევის განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და სასწავლო პროცესთან მის ინტეგრაციას, უნივერსიტეტში სამეცნიერო პოლიტიკის დაგეგმვასა და მართვას (გვ. 50 პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი). აღნიშნული საკითხი ინტერვიუირებისასაც დადასტურდა.

პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ფაქტობრივი მონაცემები მოცემულია პერსონალის განვითარების დოკუმენტში, სადაც აღნიშნულია პერსონალის სამეცნიერო აქტივობათა მონაცემები და მათი საერთაშორისო, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის დამადასტურებელი მონაცემები (გვ.24 პერსონალის განვითარების დოკუმენტი). ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა პერსონალის სამეცნიერო აქტივობებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ეფექტურობა და მისით სარგებლობით დაინტერესება პერსონალის მხრიდან. აღნიშნული ასევე დადასტურდა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუირების, მათი რეზიუმეებისა და დანართი 1 ინდივიდუალური რაოდენობრივი მაჩვენებლების დოკუმენტის ანალიზის გათვალისწინებით, პროგრამაში ჩართულ პერსონალს ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 67 ნაშრომი, საერთაშორისო ჟურნალებში 88, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებების რაოდენობა შეადგენს 71, ხოლო საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა კი 92-ს. პროგრამის განმახორციელებლებმა ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე მიაწოდეს ფინანსური დოკუმენტაცია (ბეჭდური სახით), რომელმაც დაადასტურა აღნიშნულ აქტივობათა დაფინანსების ფაქტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები;
- პერსონალის განვითარების დოკუმენტი;
- დანართი 1 ინდივიდუალური რაოდენობრივი მაჩვენებლების დოკუმენტი;

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	x	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში ექსპერტთა ვიზიტისას ინფრასტრუქტურის დათვალიერების დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელება არსებული ფაქტობრივი მოცემულობის გათვალისწინებით შესაძლებელია შეფერხების გარეშე. პროგრამა უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ტექნიკური თუ მატერიალური აღჭურვილობით რაც მოცემული დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით აუცილებელია. სტუდნეტებს აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ კომფორტულ, სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში. აუდიტორიები უზრუნველყოფილია საჭირო მოწყობილობებით (პროექტორით, კომპიუტერით).

საგამოცდო დარბაზი სრულად არის აღჭურვილი საჭირო კომპიუტერული მოწყობილობებით და შექმნილია სტუდენტის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული გარემო მათთვის გამოცდის პერიოდში შესაბამის გარემოში მუშაობისთვის. ბიბლიოთეკა მყუდრო

და სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს ქმნის მუშაობისთვის. სტუდენტთათვის ადვილად ხელმისაწვდომია პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა როგორც ბეჭდური ასევე ელვერსიის სახით. ექსპერტთა ვიზიტისას ბიბლიოთეკის პერსონალის (რომელიც განსაკუთრებით კეთილგანწყობით გამოირჩეოდა კოლეგებისა და სტუდენტების მიმართ) დახმარებით მოძიებულ იქნა პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა. ასევე შემოწმდა საბიბლიოთეკო ელ-რესურსების (www.jstor.com; www.ebscohost.com; Scopus; Elsevier (Science Direct)) გამოყენების ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენების სიხშირის სტატისტიკური მონაცემები.

უნივერსიტეტი აღჭურვილია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის საჭირო ელ-რესურსებითა და ზოგადი ინფრასტრუქტურით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	X	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი ინფორმაციულია და შედგენილია პროგრამის განვითარების ინტერესების გათვალისწინებით. ბიუჯეტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება აღინიშნოს, რომ იგი მიღწევადია და ორიენტირებულია პროგრამის მდგრადობაზე. ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებისათვის გასაწევ ხარჯებსა და შესაბამისი შემოსავლების ასპექტებს.

პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია პროგრამის შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის შემოსავლები მიღწევადია და ხარჯები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. თუმცა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების და პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობები ფინანსდება დაწესებულების ერთიანი ბიუჯეტიდან. კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიუჯეტი ნაწილდება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად და მოიცავს მის უშუალო დაქვემდებარებაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და შიდა გრანტების დაფინანსებას; აღნიშნული გულისხმობს კონფერენციების ორგანიზების დაფინანსებას, კონფერენციებში მონაწილე პირების დაფინანსებას, სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნების დაფინანსებას, მივლინებებში მონაწილე პერსონალის დაფინანსებას, წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებას და სხვ.

პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ შემდეგ მონაცემებს:

- სწავლებისა და პრაქტიკული მეცადინეობისათვის საჭირო საკონტაქტო საათებს;
- სალექციო საათების ანაზღაურებას;
- სწავლების პროცესში სტუდენტის მატერიალურ მხარდაჭერას;
- პროგრამის მანძილზე დასაშვებ გაუთვალისწინებელი ხარჯს.
- მარკეტინგის ხარჯს;
- ადმინისტრაციული პერსონალის სახელფასო ხარჯს;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	x	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხები რეგულირდება „ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის“ დოკუმენტით და მის შესრულებას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ცალკეული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის აკადემიური საბჭო ამტკიცებს „პროგრამის განვითარების საბჭოს“ შემადგენლობას. აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტ წარმომადგენელსა და დამსაქმებელთან ერთად, საბჭოს მუდმივი წევრები არიან კონკრეტული პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი. ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება.

მოწოდებული დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რო პროგრამების შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და მოიცავს ხარისხის პირდაპირი (აკადემიური მოსწრების ანალიზი)

და არაპირდაპირი (დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი) შეფასების ფორმებს.

სწავლის შედეგების რუკის შესაბამისად, სწავლის თითოეული შედეგის გაზომვა ხორციელდება პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების სემესტრული შეფასების გეგმის საფუძველზე, რომლის თანახმადაც შეფასება ხდება იმ სემესტრის ბოლოს, რომელშიც მიღწეულ იქნა სწავლის აღნიშნული შედეგი.

ხარისხის პირდაპირი შეფასების ნაწილში აკადემიური მოსწრების ანალიზი გულისხმობს უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით პროგრამისა და სასწავლო კურსების დონეზე არსებულ მონაცემთა (მათ შორის სასწავლო კურსების კურატორების გამოკითხვის მონაცემებს) შეგროვებას, დამუშავებასა და პროცენტული განაწილების შესწავლას. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის და სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად დადგენილია სამიზნე ნიშნულები გაუსის ნორმალური განაწილების შესაბამისად. განსაზღვრული დიაპაზონებიდან 20% გადახრის შემთხვევაში ხდება კურსის გადახედვა რამოდენიმე ჭრილში, შესაბამისი ცვლილების განხორციელების მიზნით:

- კრედიტების/საათების განაწილებაში;
- სწავლების მეთოდებში;
- სასწავლო კურსის თემატიკაში;
- მოცულობაში;
- შეფასების ფორმებსა და მეთოდებში;
- ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობაში;
- კურსის წინაპირობაში;
- სასწავლო პროცესის ორგანიზებაში.

ხარისხის არაპირდაპირი შეფასების პროცესში პროგრამით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევისას ხდება ინფორმაციის შეგროვება (კითხვარების გამოყენებით) პროგრამით ან ცალკეული სასწავლო კურსით თუ პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტით, სწავლების მეთოდების ეფექტურობითა და სასწავლო ლიტერატურით სტუდენტის კმაყოფილების შესახებ. გათვალისწინებულია კითხვები, რომელიც აფიქსირებს სტუდენტის მოსაზრებას იმის შესახებ თუ რამდენად რეალური და მიღწევადია სასწავლო კურსით/პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციები და შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, როგორია სტუდენტის თვითშეფასება წარუმატებლობის მიზეზთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ხდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევა კითხვარების გამოყენებით - პროგრამით ან ცალკეული სასწავლო კურსით თუ პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტით, სწავლების მეთოდების ეფექტურობითა და სასწავლო ლიტერატურით აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შესახებ. დგინდება, რამდენად უზრუნველყოფს

სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა, საათობრივი დატვირთვა და გამოყენებული მეთოდები სასურველი შედეგის მიღწევას და ხომ არ არის აუცილებელი რომელიმე კომპონენტის კორექტირება.

თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, თუმცა ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა აკადემიური/მოწვეული პერსონალის არაინფორმირებულობა პროგრამაში და მათ შორის მათივე საავტორო სილაბუსებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. რიგ შემთხვევებში აკადემიური პერსონალი არ ეთანხმება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსსა და სტრუქტურას (მაგ. შეფასების სისტემას, მითითებულ ძირითად სასწავლო მასალას, შეფასების მეთოდებს...), რაც თავის მხრივ პირდაპირ კავშირშია კურსის და შემდგომ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება საჭიროება გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების ქმედითუნარიანობა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის, ხარისხის სამსახურთან და პროგრამის განვითარების ჯგუფთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და კოორდინირებულ საქმიანობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანალიზი;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევის ანგარიში;
- სტუდენტთა კვლევის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში;
- ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების ქმედითუნარიანობა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს

აკადემიური პერსონალის, ხარისხის სამსახურთან და პროგრამის განვითარების ჯგუფთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და კოორდინირებულ საქმიანობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	x	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. გარდა ავტორიზაცია/აკრედიტაციის დროს განხორციელებული გარე შეფასებისა, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო დარგის ექსპერტებთან პროგრამის შესაფასებლად.

პროგრამის შეფასება განხორციელდა ერთი ადგილობრივი და ერთი საერთაშორისო შემფასებლის მიერ. არცერთი შემფასებელი არ იყო შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს. ასევე, მათ გააჩნდათ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

ორივე შემფასებელი აღნიშნავს, რომ პროგრამა არის აქტუალური, საინტერესო და წარმოდგენილი სასწავლო კურსები პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გარე შეფასება ექსპერტების მიერ;
- ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	x	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შესახებ ინფორმაცია და წესები განთავსებულია პროგრამის დებულებაში, კერძოდ, აღნიშნული

დოკუმენტის მიხედვით განისაზღვრება პროგრამის ინიცირების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის და პერიოდული შეფასებების პროცედურები. თითოეული პროგრამისთვის იქმნება პროგრამის განვითარების საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის მიერ განსაზღვრული შედეგების მიღწევის შეფასება/ანალიზზე. შესაბამისად პერიოდულად ტარდება პროგრამის შედეგების შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით. შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებას შუალედური და დასკვნითი შეფასებებით. შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს - როგორც სტუდენტების, ასევე სხვა დაინტერესებული პირების დამოკიდებულების შესწავლას, რომლისთვისაც განსაზღვრულია შემდეგი შეფასების ფორმები: კითხვარები, ბაზრის კვლევა, საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზი და სხვა. დებულებით განსაზღვრულია შეფასებების პერიოდულობაც: პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ 1 წელიწადში ერთხელ, ხოლო არაპირდაპირი მეთოდით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება, დახვეწა და საჭიროების შესაბამისად განახლება. როგორც ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დადასტურდა, პროგრამის გაუმჯობესების პროცესში გამოიყენეს სტუდენტთა უკუკავშირი, კერძოდ, სავალდებულო კურსებიდან ამოიღეს ერთ-ერთი საგანი MS Office.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის განვითარების პროცესში განხორციელდა პროგრამის დადარება ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საერთაშორისო პრაქტიკა (ლიტვა, ლატვია, საბერძნეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა). უფრო ვრცლად იხ. ქვესტანდარტი 1.1.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**x**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება **სტანდარტები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	X	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	X	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	☐	☐	☐

<u>ხელმოწერები:</u>

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ინგა დიაკონიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა: მარიამ კილანავა

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამთა ლეკიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: მარიამ მაჭავარიანი